

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #441

ქ. ბორჯომი

21 აგვისტო 2020 წელი

ერთი მხრივ, **ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია**, წარმოდგენილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ზაალიშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. #5,

საიდენტიფიკაციო კოდი: №226161961

ტელეფონის ნომერი: 0367 224499 / 223355

საბანკო რეკვიზიტები: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,

სახაზინო კოდი: 300629921,

ბანკის კოდი: TRESG22

სახაზინო კოდი 300629921, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი

და მეორე მხრივ, **შპს „მშენებელი 2012“**, წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ კაპანაძის სახით. (შემდგომში - მომწოდებელი),

მისამართი: ქ. ბორჯომი, სააკაძის ქ. #2,

საიდენტიფიკაციო კოდი: № 426109622

ტელეფონის ნომერი: 0367 221727

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: # GE41TB7724336080100001

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

(საფუძვლები დამოკიდებულია ტენდერის სახეზე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16¹ მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT200009437) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **ქ. ბორჯომში ავტოსადგურის და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები**. (შემდგომში - სამუშაო).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45233210 - გზატკეცილების საფარის დაგებასთან დაკავშირებული სამუშაოები

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **447 727 (ოთხას ორმოცდაშვიდი ათას შვიდას ოცდაშვიდი) ლარს**, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელო ხელშეკრულების გაფორმებიდან **60 (სამოცი) კალენდარული** დღის ვადაში.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმით წარდგენილი, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარმოდგენილი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს (სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში მოითხოვება გარანტია 10%-ის ოდენობით).

ხელმოწერილია/შტამპდართყმულია ელექტრონულად

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების სამუშაოების დასრულების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო, გამოუხმობადი და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და შემსყიდველის მიერ ამ შესრულების მიღების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სამუშაოების დასრულების ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, აამოქმედოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

7. შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

8. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადის გაგრძელება და შემსყიდველს წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცვლილება/ახალი საბანკო გარანტია).

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, სამუშაოს დაწყებიდან ყოველ 30 კალენდარულ დღეში არაუმეტეს ორჯერ, შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარებისაქტისგაფორმებიდან 10(ათი)სამუშაოდღისგანმავლობაში.

3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, შპს „**ოპტიმალ გრუპ**“ -ის (შემდგომში - ზედამხედველი) მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე, რაც დადასტურებული უნდა იყოს ზედამხედველის მიერ ფორმა №2-ზე ხელმოწერით.

4. ანგარიშსწორება იწარმოებს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N619 განკარგულების შესაბამისად.

მუხლი 6. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები (განახლებული ინფორმაცია საგადასახადო გირავნობისა ან/და ყადაღის თაობაზე), რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

4. ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

5. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

6. მიმწოდებელი ვალდებულია ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7. ავანსის გაქვითვა მოხდება პროპორციულად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების იმ პროცენტის ოდენობით, რა პროცენტული ოდენობითაც გაიცა ავანსი. ეტაპობრივი ანგარიშწორების შემთხვევაში, ანგარიშწორების ბოლო ეტაპზე წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება იმ მოცულობით, რა მოცულობაც საჭიროა ავანსის სრულყოფილად გასაქვითად;

8. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 7. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

3. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის პირველი ნახევრის (2.5%) დაბრუნება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად დასრულებისა და შემსყიდველის მიერ საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის პირველი ნახევარი არ აუნაზღაურდება სამუშაოს დეფექტ(ებ)ის გამოსწორებამდე.

5. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უზრუნველყოს დაფიქსირებული დეფექტ(ებ)ის გამოსწორება. დაფიქსირებული დეფექტ(ებ)ის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული მეორე ნახევრის (2.5%) დაბრუნება მოხდება ერთი წლის გასვლის შემდეგ, თუ შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ დეფექტ(ებ)ის არარსებობის შესახებ შემსყიდველისთვის წარდგენილი იქნა შესაბამისი აქტი, რომლითაც დადასტურდება დეფექტ(ებ)ის არარსებობა.

7. შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის ანაზღაურება სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ დაკავებული თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენის საფუძველზე. გარანტია უნდა იყოს უპირობო, გამოუხმობადი და შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემისგან, პირველივე მოთხოვნისთანავე, მიიღოს შესაბამისი თანხა. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

8. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ/არ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტში აღნიშნული დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრას, შემსყიდველი ზედამხედველთან ერთად შეაფასებს ამ დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულებას.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანხას, სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხიდან. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის საჭირო თანხა აღემატება სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულ თანხას, მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება, ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

10. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) თვის ვადაში მიმართოს შემსყიდველს დაკავებული თანხის დაბრუნების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მითითებულ ვადაში არ მიმართავს შემსყიდველს თანხის დაბრუნების თაობაზე, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება.

მუხლი 8. სამუშაოს შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ახალი კორონა ვირუსის (covid 19) გავრცელებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან

გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვა.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 9. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების წარდგენა განახორციელოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 30 კალენდარულ დღეში არაუმეტეს ორჯერ.

2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი, მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას ახორციელებს შპს „ოპტიმალ გრუპ +“, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4. შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპების დასრულების შესახებ შპს „ოპტიმალ გრუპ +“- ის წერილობითი შეტყობინების და დამოწმებული ფორმა #2-ის (შესრულებული სამუშაოების აქტი) საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მონიტორინგისა და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის განყოფილება ახდენს შესრულებული სამუშაოების მიღება - ჩაბარებას.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სამუშაოს დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

დ) სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

ე) შემსყიდველთან შეთანხმოს სამუშაოების განხორციელებისას გამოსაყენებელი მასალ(ებ)ის იერსახე და ხარისხი;

ვ) სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე, საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის მიმწოდებელს არ აქვს მოპოვებული საჭირო დოკუმენტაცია ან ნებართვა, მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო დოკუმენტაციის ან ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;

თ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

ი) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

კ) დაიცვას შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნები და პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში).

2. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი შესრულებული სამუშაო.

მუხლი 11. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შპს „ოპტიმალ გრუპ +“

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო

პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. სამუშაოს განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.

6. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი ან/და ზედამხედველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

7. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი, რის შემდგომაც შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ ამოქმედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის და შემსყიდველს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე და მიმწოდებელი ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დასრულებას, შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

5. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირაგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაკვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

7. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

8. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

9. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ზიანზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადად, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;

ვ) მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

ზ) მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირაგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;

თ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ი) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, ამოქმედოს ხელშეკრულების მე-4 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

მუხლი 15. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,

ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 16. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი და მიმწოდებლის პერსონალი

1. დაუშვებელია ქვეკონტრაქტორ(ებ)ს შესასრულებლად გადაეცეს შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობის 40%-ზე მეტი;

2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე შეწყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიზნით, შემსყიდველს წარედგინება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება ღირებულების მითითებით და გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის ასლი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარუდგინოს შემსყიდველს, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 17. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - borjomimunicipality@gmail.com) ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე (მიმწოდებლის შემთხვევაში vaxtangikapanadze@gmail.com).

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 18. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

6. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, ხარჯთაღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ტექნიკური დავალება, საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაციები, ნახაზები, პროექტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

შემსყიდველი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი
დავით ზაალიშვილი

მიმწოდებელი: შპს „მშენებელი 2012“-ის დირექტორი
ვახტანგ კაპანაძე



ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

საბანკო გარანტია #2307243-11063912

43/106-02

ქ. ბორჯომი

2020 წლის 21 აგვისტო

ვის: ბორჯომის მუნიციპალიტეტს (შემდგომში „ბენეფიციარი“)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "შენებელი 2012" (ს/კ 426109622) (შემდგომში „პრინციპალი“), ბენეფიციარის მიერ ქ. ბორჯომში ბაზრის და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (NAT200009437) წარდგენილი თავისი წინადადების შესაბამისად, იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) მითითებულ თანხაზე, ჩვენ, სს თიბისი ბანკი (მის.: საქართველო, ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. #7) (შემდგომში „გარანტი“), თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე საერთო თანხაზე 22 387.00 (ოცდაორიათას სამასოთხმოცდაშვიდი) ლარი და გამოუთხოვად და უპირობოდ (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას, პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და ბენეფიციარის მხრიდან უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული იქნება კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან (ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე).

გარანტია ძალაში რჩება 2020 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმითა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ს.ს. "თიბისი ბანკის" სამცხე-ჯავახეთის რეგ. ფილიალის სერვის მენეჯერი ნათია სამსონიძე



ხარჯთაღრიცხვა №1
ქალაქ ბორჯომში ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია

N	შიტრი	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	ნორმა ერთ-ზე	რაოდენ.	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	
						განზ. ერთ	სულ
1	2	3	4	5	6	7	13
		თავი I. მოსამზადებელი სამუშაოები					
1	კვლევა-ძიების კრებული გვ. 557 ცხრ. 17	მოედნის დამაგრება	კმ		0,100	330,07	33,01
2	ГЭСНр-2017 68-37-4მიყ.	არსებული ჭების მოწყობა საპროექტო ნიშნულზე	ც		7,00	100,00	700,00
	ს.რ. თ.14	ბეტონის ტრანსპორტირება საშ. 3კმ-დან	ტნ	2,40	1,58	3,00	4,74
		I თავის ჯამი	ლარი				737,75
		თავი II მიწის ვაკისი					
1	1_22_15	III კატ. გრუნტის დამუშავება ჭრილში მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვიომცლელეებზე	მ ³	–	446,00	5,00	2230,00
2	1_80_3	III კატ. გრუნტის დამუშავება ხელით	მ ³	–	50,00	5,00	250,00
3	B3EP 1-3	გრუნტის დატვირთვა ა/მანქანაზე ხელით	მ ³	–	50,00	5,00	250,00
4	ს.რ. თ.14	გრუნტის გატანა ნაყარში 5კმ-ზე	ტნ	1,90	942,40	4,00	3769,60
5	1-116-2 მიყ.	მიწის ვაკისის მომანდაკება მექანიზირებული წესით	მ2		3500,00	0,20	700,00
6	27_9_7	არსებული ბორღიურების დემონტაჟი გატანა ნაყარში ზომით 15X30X100	მ	–	30,00	10,00	300,00
7	B3EP 1-3	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ა/მანქანაზე ხელით	მ ³	–	1,35	10,00	13,50
8	ს.რ. თ.14	სამშენებლო ნაგავის გატანა ნაყარში 5კმ-ზე	ტნ	2,40	3,24	4,00	12,96
		II თავის ჯამი	ლარი				7526,06
		თავი III. ხელოვნური ნაგებობები					
		საყრდენი კედლის მოწყობა-15 მ					
1	46_23_2	არსებული ბეტონის კედლის მონგრევა სანგრევი ჩაქუჩებით	მ3	–	8,00	30,00	240,00
2	B3EP 1-3	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ა/მანქანაზე ხელით	მ ³	–	8,00	5,00	40,00
3	ს.რ. თ.14	სამშენებლო ნაგავის გატანა ნაყარში 5კმ-ზე	ტნ	2,40	19,20	4,00	76,80
4	1_22_15	III კატ. გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვიომცლელეებზე	მ ³	–	27,00	5,00	135,00
5	1_80_3	III კატ. გრუნტის დამუშავება ხელით	მ ³	–	3,00	5,00	15,00
6	B3EP 1-3	გრუნტის დატვირთვა ა/მანქანაზე ხელით	მ ³	–	3,00	5,00	15,00
7	ს.რ. თ.14	გრუნტის გატანა ნაყარში 5კმ-ზე	ტნ	1,90	57,00	4,00	228,00
8	23-1-3	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა საშ. სისქით 20სმ	მ ³		3,00	6,00	18,00
	ს.რ. თ.14	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ტრანსპორტირება საშ. 15კმ-დან	ტნ		5,12	7,00	35,84

1	2	3	4	5	6	7	13
9	6-1-18იყ.	მონოლითური ბეტონის მოსამზადებელი ფენის მოწყობა სისქით 10სმ B22.5	მ3		1,20	140,00	168,00
	ს.რ. თ.14	ბეტონის ტრანსპორტირება სამ. 3კმ-დან	ტ6	2,40	2,94	3,00	8,82
10	6-11-6მიყ.	მონოლითური რკ/ბეტონის კედლის საძირკველისა და ტანის მოწყობა B30 F200 W6	მ3		8,70	150,00	1305,00
	ს.რ. თ.14	ბეტონის ტრანსპორტირება სამ. 3კმ-დან	ტ6	2,40	21,19	3,00	63,57
11	6-9-7	მოაჯირის მოსაწყობად ჩასატანებელი დეტალების მოწყობა	ტ6		0,051	4000,00	204,00
		ლითონის ტრანსპორტირება 3კმ-დან	ტ6		0,051	3,00	0,15
12	30-48-1	ლითონის მოაჯირის დამზადება-მოწყობა	ტ6		0,945	1000,00	945,00
	სრფ	ლითონის ტრანსპორტირება 3კმ-დან	ტ6		0,945	3,00	2,84
13	30-51-3მიყ.	წასაცხები ჰიდროიზოლაცია 2 ფენა ბიტუმიტ	მ2		38,00	3,00	114,00
		ბიტუმის ტრანსპორტირება 30კმ-დან	ტ6		0,171	12,00	2,05
14	23-1-3	უკუშევსება კარიერიდან მოზიდული ხრეშოვანი გრუნტით	მ ³		12,00	10,00	120,00
	ს.რ. თ.14	ხრეშოვანი გრუნტის ტრანსპორტირება სამ. 15კმ-დან	ტ6		25,08	7,00	175,56
15	34-33-8 მიყ.	ლითონის მოაჯირის შეღებვა ზეთოვანი საღებავით	ტ6		0,9450	300,00	283,50
		არსებული კედლის შეკეთება					
1	46_23_2	არსებული კედლის დაზიანებული ადგილების დამუშავება სანგრევი ჩაქურებით	მ3	-	1,00	30,00	30,00
2	B3EP 1-3	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ა/მანქანაზე ხელით	მ ³	-	1,00	5,00	5,00
3	ს.რ. თ.14	სამშენებლო ნაგავის გატანა ნაყარში 5კმ-ზე	ტ6	2,40	2,40	4,00	9,60
4	46-21-3 მიყ.	არსებულ კედელში ანკერებისათვის ბურღილების მოწყობა d=25მმ	მ		11,00	5,00	55,00
5	6-9-7მიყ.	არმატურის ღეროების ჩაცემენტება (Ø12 AIII)	ტ6		0,006	1600,00	9,60
	სრფ	არმატურის ტრანსპორტირება 3კმ-დან	ტ6		0,006	3,00	0,02
6	30-5-2 მიყ.	კედლის ზედაპირზე არმატურის ბადის მოწყობა (Ø8 AIII)	ტ6		0,015	1700,00	25,50
		არმატურის ტრანსპორტირება 3კმ-დან	ტ6		0,015	3,00	0,05
7	46-4-2მიყ.	პერანგის მოწყობა მონოლითური ბეტონით B30 F200 W6	მ3		18,00	150,00	2700,00
	ს.რ. თ.14	ბეტონის ტრანსპორტირება სამ. 3კმ-დან	ტ6	2,40	44,06	3,00	132,18
		III თავის ჯამი	ლარი				7163,07
		თავი IV საგზაო სამოსი					
1	1-116-2 მიყ.	მიწის ვაკისის მოშანდაკება მექანიზირებული წესით	მ2		3500,00	0,14	490,00
2	27-7-2	შემასწორებელი ფენა-ქვიშა-ხეშოვანი ნარევი სისქით 20სმ	მ ³		320,00	6,00	1920,00
	ს.რ. თ.14	ქვიშა-ხეშოვანი ტრანსპორტირება სამ. 15კმ-დან	ტ6		624,64	7,00	4372,48
3	27-11-1	საფუძველი - ლორლის ფრაქციით 0-40 მმ სისქით 18სმ	მ ²		3200,00	4,60	14720,00
	ს.რ. თ.14	ლორლის ტრანსპორტირება სამ. 15მ-დან	ტ6		1161,22	7,00	8128,54
4	27-63-1	ზედაპირის დამუშავება თხევადი ბიტუმის ემულსიით 0.7ლ/მ2	ტ6		2,240	1000,00	2240,00
		ბიტუმის ტრანსპორტირება სამ. 30კმ-დან	ტ6		2,307	12,00	27,68

1	2	3	4	5	6	7	13
5	27-39-1,40-1,2	მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ლორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი, მარკა II, სისქით 6 სმ	მ2		3200,00	18,50	59200,00
		ასფალტის ტრანსპორტირება საშ. 30კმ-დან	ტნ		446,304	12,00	5355,65
6	27-63-1	ზედაპირის დამუშავება თხევადი ბიტუმის ემულსიით 0.35ლ/მ2	ტნ		1,120	1000,00	1120,00
		ბიტუმის ტრანსპორტირება საშ. 30კმ-დან	ტნ		1,154	12,00	13,85
7	27-39-1,40-1,2	ნვრილმარცვლოვანი მკვრივი ლორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი, ტიპი B, მარკა II სისქით 4 სმ	მ2		3200,00	15,50	49600,00
		ასფალტის ტრანსპორტირება საშ. 30კმ-დან	ტნ		311,680	12,00	3740,16
		IV თავის ჯამი	ლარი				150928,36
		ყველა თავის ჯამი	ლარი				166355,24
		ზედნადები ხარჯები	%	8%			13308,42
		ჯამი	ლარი				179663,66
		სახარჯთაღრიცხვო მოკება	%	6%			10779,82
		ჯამი	ლარი				190443,48
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	%	3%			5713,30
		ჯამი	ლარი				196156,78
		დამატებითი ღირებულების გადასახადი	%	18%			35308,22
		სულ სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	ლარი				231465,00

1. გაუთვალისწინებელი ხარჯების გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის (შემსყიდველის) ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ

2. სამუშაოთა ჩამონათვალში მოცემული ყოველი პოზიცია ითვალისწინებს: შესასრულებელი სამუშაოს მთლიან კომპლექსს (ძირითადი, დამხმარე და თანმდევნი სამუშაოები) ყველა დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა სამუშაოების შესასრულებლად (მასალების, ინვესტიციების და მოწყობილობის შეძენა, ტრანსპორტირება, განბაჟება, შრომითი დანახარჯები, სამშენებლო მანქანა მექანიზმების ექსპლუატაცია, ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების გასუფთავება სამშენებლო ნარჩენებისაგან, სამშენებლო ნაგავის გატანა ნაგავსაყრელზე, დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა, ყველა გადასახადი და დანარიცხები გარდა ზედგადები ხარჯების, გემიური დადგროვების, გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და დღგ-ს გადასახადისა).

ხარჯთაღრიცხვა №2

ქ. ბორჯომში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები

N	შიფრი	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	ნორმა ერთ-ზე	რაოდენ.	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	
						განზ. ერთ	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
		<i>I. მოსამზადებელი სამუშაოები</i>					
1	საკვლევა მიეზო კრებული გგ-557 პ-3	ტრასის აღდგენა და დამაგრება	კმ		0,193	318,65	61,50
		I თავის ჯამი	ლარი				61,50
		<i>II. მიწის ვაკისი</i>					
2	27-9-3 ს.რ.ფ.	III კატეგორიის გრუნტის საფარის მოჭრა მექანიზმებით	100მ ³		7,169	300,0	2 150,70
3	1-80-3 ს.რ.ფ.	გრუნტის დამუშავება ხელით III კატ. გრუნტში	მ ³		179,20	5,0	896,00
4	1-22-15 ს.რ.ფ.	გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელეებზე ექსკავატორით	1000მ ³		1,08	3000,0	3 225,96
5	სრფ-2019. II კვ. გგ142	გრუნტის ტრანსპორტირება 5კმ-ზე (X*1.75)	ტ		1881,81	4,0	7 527,24
		II თავის ჯამი	ლარი				13799,90
		<i>III. ბორდიურის და ტროტუარზე ასფალტბეტონის მოწყობა</i>					
6	8-3-2 ს.რ.ფ.	ბორდიურის (15X30) მოსაწყობად ღორღის (20-40 მმ) საფუძვლის მოწყობა სისქით 10 სმ	მ ³		4,1	25,0	102,50
7	27-19-2 ს.რ.ფ.	ბეტონის ბორდიურების მოწყობა ზომით (30X15) ბეტონის მ200 საფუძველზე.	100მ		1,64	1500,0	2 466,00
8	27-7-2 ს.რ.ფ.	ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 15სმ	მ ³		23,5	12,0	282,00
9	27-43-1,2 ს.რ.ფ.	ღორღის (10-20 მმ) საფუძვლის მოწყობა სისქით 10 სმ	100მ ²		0,16	300,0	47,10
10	27-63-1 ს.რ.ფ.	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.0007 ტ/მ ²	ტ		0,110	1000,0	109,90
11	27-42-1 ს.რ.ფ.	საფარის ფენის მოწყობა ქვიშოვანი წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით „ტიპი ბ“ სისქით 3 სმ	100მ ²		1,57	1000,0	1 570,00
		III თავის ჯამი	ლარი				4577,50
		<i>IV. საგზაო სამოსი</i>					
12	27-7-2 ს.რ.ფ.	ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 20სმ	მ ³		597,36	12,0	7 168,32
13	27-11-1 ს.რ.ფ.	ღორღის (0-40 მმ) საფუძვლის მოწყობა სისქით 15 სმ	1000 მ ²		2,987	3000,0	8 961,00
14	27-63-1 ს.რ.ფ.	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.0007 ტ/მ ²	ტ		2,091	1000,0	2 090,90
15	27-39-1,2 27-40-1,2 ს.რ.ფ.	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილ მარცვლოვანი, ფორლოვანი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით მარკა II სისქით 6 სმ	1000 მ ²		2,987	18500,0	55 259,50
16	სრფ-2019. II კვ. გგ142	ასფალტბეტონის ტრანსპორტირება 30-კმდან	ტ		416,69	12,0	5 000,28
17	27-63-1 ს.რ.ფ.	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.00035 ტ/მ ²	ტ		1,045	1000,0	1 045,45
18	სრფ-2019. II კვ. გგ142	ბიტუმის ტრანსპორტირება 30-კმდან	ტ		1,08	12,0	12,92
19	27-39-1 27-40-1 ს.რ.ფ.	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით „ტიპი B“ მარკა II სისქით 4 სმ	1000 მ ²		2,987	15650,0	46 746,55

20	სრფ-2019. II კვ. გვ142	ასფალტბეტონის ტრანსპორტირება 30-კმდან	ტ		290,93	12,0	3 491,16
		IV თავის ჯამი	ლარი				129776,08
		V. სანიაღვრე ქსელის მოწყობა					-
		თხრილის მომზადება და მიღების მოწყობა					-
21	1-22-15 ს.რ.ფ.	თხრილის დამუშავება III კატეგორიის გრუნტში და დატვირთვა ავტოთვიმცლელელებზე	გპ		108,50	10,0	1 085,00
22	სრფ-2019. II კვ. გვ142	ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე ნაყარში	ტ		189,88	4,0	759,50
23	1-80-3 რ1-3	თხრილის დამუშავება III კატეგორიის გრუნტში ხელით და დატვირთვა ავტოთვიმცლელელებზე	გპ		10,80	12,0	129,60
24	სრფ-2019. II კვ. გვ142	ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე ნაყარში	ტ		21,06	4,0	84,24
25	2	მუშაობა ნაყარში	გპ		119,30	1,0	119,30
26	23-1-1 ს.რ.ფ.	ქვიშის ბაღის მოწყობა მილის ქვეშ სისქით 10 სმ, დატკეპნით	გპ		13,50	20,0	270,00
27	22-8-8 ს.რ.ფ.	პლასტმასის გოფირებული მილის ჩაწყობა თხრილში (D=300 მმ (შ -8))	გრძ.მ		178,00	12,0	2 136,00
28	1-81-1	მიღების დაფარვა ქვიშის ფენით (მილის ზევით) სისქით 30 სმ და დატკეპნა	გპ		67,00	20,0	1 340,00
29	1-11-15 ს.რ.ფ.	თხრილის დარჩენილი ნაწილის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევეთ ექსკავატორით	გპ		40,70	10,0	407,00
30	1-118-5,6 ს.რ.ფ.	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დატკეპნა ვიბრაციული სატკეპნით ფენებად სისქით 20სმ	გპ		40,70	2,0	81,40
		სანიაღვრე ჭების მონყობა					
31		ქვაბულის დამუშავება III კატეგორიის გრუნტში და დატვირთვა ავტოთვიმცლელელებზე	გპ		19,50	12,0	234,00
32	სრფ-2019. II კვ. გვ142	ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე ნაყარში	ტ		34,13	4,0	136,50
33	1-80-3 რ1-3	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვიმცლელელებზე	გპ		2,20	12,0	26,40
34	სრფ-2019. II კვ. გვ142	ტრანსპორტირება 5 კმ მანძილზე ნაყარში	ტ		4,29	4,0	17,16
35	1-25-2 ს.რ.ფ.	მუშაობა ნაყარში	გპ		21,70	1,0	21,70
36	23-1-3 ს.რ.ფ.	საგების მოწყობა სანიაღვრე ჭის ქვეშ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევისაგან, სისქით 10 სმ, დატკეპნით	გპ		1,30	12,0	15,60
37	6-11-1 ს.რ.ფ.	ჭის ძირის და კედლების მოწყობა მონოლითური ბეტონით B20F100W6	გპ		10,50	140,0	1 470,00
38	37-65-5 ს.რ.ფ.	რკინა-ბეტონის გადახურვის მოწყობა 1,20X1,20 X 0,3 მ თუჯის ჩარჩო ცხაურით ზომით 0,90X0,90 მ	გპ		3,23	100,0	323,00
	4.1 108	რკინა-ბეტონის გადახურვის ფილა 1,20X1,20 X 0,3 მ	ც		7,00	200,0	1 400,00
	4.1 124	ოთხკუთხა თუჯის ჩარჩო ცხაური ზომით 0,90X0,90 მ	ც		7,00	300,0	2 100,00
39	1-11-15 ს.რ.ფ.	ქვაბულის დარჩენილი ნაწილის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევეთ ექსკავატორით	გპ		6,10	12,0	73,20
40	1-118-5,6	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დატკეპნა ვიბრაციული სატკეპნით ფენებად სისქით 20სმ	გპ		6,10	2,0	12,20
		V თავის ჯამი	ლარი				12241,80
		VI მოძრაობის უსაფრთხოება					
41	27-46-3 ს.რ.ფ.	სტანდარტული ფარები ბრტყელი II ტიპის ზომის ГОСТ 10807-78-ის მიხედვით თუთიით გაღვანიზირებული ლითონის ფურცელზე დაფარული შუქდამბრუნებელი ASTM D 4956-09 Type III ფირით	ცალი		4,00	150,0	600,00
42	6-1-1 ს.ფ.რ.	საგზაო ნიშნის დაყენება ლითონის დგარებზე დ=76მმ ბეტონის საძირკველზე	გპ		0,70	500,0	350,00
		VI თავის ჯამი	ლარი				950,00

	ყველა თავის ჯამი	ლარი			161406,78
	ზედნადები ხარჯები	%	6%		9684,41
	ჯამი	ლარი			171091,19
	გეგმიური დაგროვება	%	4%		6843,65
	ჯამი	ლარი			177934,84
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	%	3%		5338,05
	ჯამი	ლარი			183272,88
	დამატებითი ღირებულების გადასახადი	%	18%		32989,12
	ჯამი	ლარი			216262,00

1. გაუთვალისწინებელი ხარჯების გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის (შემსყიდველის) ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

2. სამუშაოთა ჩამონათვალში მოცემული ყოველი პოზიცია ითვალისწინებს შესასრულებელი სამუშაოს მთლიან კომპლექსს (ძირითადი, დამხმარე და თანმდევი სამუშაოები) ყველა დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა სამუშაოების შესასრულებლად (მასალების, ინვერტარის და მოწყობილობის შექმნა, ტრანსპორტირება, განბაჟება, შრომითი დანახარჯები, სამშენებლო მანქანა მექანიზმების ექსპლუატაცია, ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების გასუფთავება სამშენებლო ნარჩენებისაგან, სამშენებლო ნაგავის გატანა ნაგავსაყრდელზე, დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა, ყველა გადასახადი და დანარჩენები გარდა ზედგადები ხარჯები, გეგმიური დადგროვების, გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და დღგ-ს გადასახადისა).